ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის
ფსიქოლოგიისა და განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტის
საბჭოს სხდომის
ოქმი N 17
11.12.2018

ფაკულტეტის საბჭოს დღის წესრიგი:

1. სტუდენტური თვითმმართველობის ახალი წევრების მიღება;
2. ანკეტა-კითხვარის დამტკიცება;
3. სასწავლო პროცესთან დაკავშირებული საკითხები:
   - მოწვეული პედაგოგების საათების რაოდენობა
   - დუბლირებული საგნები
   - საფაკულტეტო საგნების საკითხები
   - ლმს-ზე გადასვლასთან დაკავშირებით სილაბუსში გაწერილი შეფასების კრიტერიუმები და ქულები უნდა ეთანხმებოდეს უწყისში გაწერილს.
   - გამოცდისათვის დახურულბოლოიანი ტესტების გაკეთება კომპიუტერულ ტესტირებაზე გადასვლისათვის, განსაკუთრებით ძირითადი საგნებისათვის.
4. სხვა
   - დოქტორანტების თემებისა და ხელმძღვანელების დამტკიცება:

     1. ფაკულტეტის საბჭოს სხდომაზე წარსადგენად – 2018-2019 სასწ. წლის შემოდგომის სემესტრში - სადოქტორო პროგრამა - "კლინიკური ნეიროფსიქოლოგია" - ჩარიცხული დოქტორანტის **მარიამ ნანაძის** (პ/ნ 61001074158) სამეცნიერო ხელმძღვანელისა და თემის პირობითი/სავარაუდო სათაურის დამტკიცება;
        სადისერტაციო ნაშრომის პირობითი სახელწოდება - „ფონოლოგიური უნარების ანალიზი ენისა და მეტყველების განვითარების დარღვევის მქონე ბავშვებში."
        სამეცნიერო ხელმძღვანელი – ასოცირებული პროფესორი შორენა მამუკაძე, თსუ;

     2. დოქტორანტ **ნათია სორდიას** - (სადოქტორო პროგრამა „ფსიქოლოგიური ანთროპოლოგია (ინტერდისციპლინური)", სამეცნიერო ხელმძღვანელი ასოცორებული პროფესორი ხათუნა მარწყვიშვილი) რედაქტირებული (დაზუსტებული) თემის სათაურის, „შემოქმედებითი პოტენციალიდან მიღწევებამდე: პიროვნებისა და სოციუმის როლი შემოქმედებითობაში" - დამტკიცება;

     3. დოქტორანტ **ირინე ფრუიძის** - (სადოქტორო პროგრამა „ორგანიზაციის განვითარება და კონსულტირება," სამეცნიერო ხელმძღვანელი პროფესორი ნოდარ ბელქანია) რედაქტირებული (დაზუსტებული) თემის სათაურის, „მართვის უნივერსალური სტანდარტების ზეგავლენა არასამთავრობო ორგანიზაციის განვითარებაზე"- დამტკიცება;

     4. დოქტორანტ **მარიამ ოდილავაძეს** - (სადოქტორო პროგრამა „პოზიტიური ფსიქოლოგია-ემპირიული კვლევები, სამეც. ხელმძღვანელი ასოც. პროფესორი ხათუნა მარწყვიშვილი")

- დაუმტკიცდეს კონსულტანტად, ფაკულტეტის ასისტ.პროფესორი, ფსიქოლოგიის დოქტორი მარიამ ფანჯიკიძე;

5. სადოქტორო პროგრამის „განათლების მეცნიერებების“ დოქტორანტების ეკატერინე კვირკველიას, სოფიო დედალამაზიშვილის და ქეთევან ხუსკივაძის სადისერტაციო თემების რედაქტირებული (დაზუსტებული) სათაურების დამტკიცება:

   5.1 ეკატერინე კვირკველია - ,,პროფესიული განათლების მასწავლებლის პროფესიული მახასიათებლების კვლევა.“ ხელმძღვანელი - ქეთევან ჭკუასელი, ფსიქოლოგიისა და განათლების მეცენირებათა ფაკულტეტის პროფესორი, თსუ;

   5.2 სოფიო დედალამაზიშვილი - „მნემოტექნიკების გამოყენების თავისებურებები გერმანული ენის სწავლების პროცესში (VII-IX კლასები).“ სამეც. ხელმძღვანელები: ერეკლე ჩიგოგიძე - კავკასიის უნივერსიტეტის პროფესორი, რუსუდან სანაძე - ფსიქოლოგიისა და განათლების მეცენირებათა ფაკულტეტის ასოცირებული პროფესორი, თსუ;

   5.3 ქეთევან ხუსკივაძე - ,,ესპანური ენის დიდაქტიკის საკითხები უმაღლეს სკოლაში (თსუ-ის მაგალითზე).“ სამეც. ხელმძღვანელი - მარინა კობეშავიძე, ჰუმანიტარულ მეცნეირებათა ფაკულტეტის ასოცირებული პროფესორი, თსუ; კონსულტანტი - ქეთევან ჭკუასელი, ფსიქოლოგიისა და განათლების მეცენირებათა ფაკულტეტის პროფესორი, თსუ.

- კრედიტების აღიარების კომისიის წევრის დამტკიცება.
- ფაკულტეტზე საუნივერსიტეტო ცენტრების გადმოტანის საკითხი.

სხდომას ესწრებოდნენ:
საბჭოს თავჯდომარე: პროფესორი თამარ გაგოშიძე

ფაკულტეტის საბჭოს წევრები :
ფსიქოლოგიის სასწავლო-სამეცნიერო დეპარტამენტი:

პროფესორები :
ლალი სურმანიძე

ასოცირებული პროფესორები :
თამარ აბაშიძე, ლუიზა არუთინოვა, გიორგი გოროშიძე, მანანა მელიქიშვილი, მაია მესტვირიშვილი, ვახტანგ ნადარეიშვილი, ანასტასია ქიტიაშვილი, ირინე ჟვანია, ხათუნა მარწყვიშვილი, ლილი ხეჩუაშვილი.
ასისტენტ პროფესორები :
ირინე გედევანიშვილი

განათლების მეცნიერებათა სასწავლო-სამეცნიერო დეპარტამენტი:
პროფესორი: ქეთევან ჭკუასელი;

ასოცირებული პროფესორი :
ეთერ ღვინერია, რუსუდან სანაძე

საბჭოს სხდომაში მონაწილეობდა **სულ 21 წევრი**

1. **სტუდენტთა თვითმმართველობის ახალი წევრების მიღება**

საბჭოს მდივანმა, ასოც. პროფესორმა ირინე ჟვანიამ დააყენა პირველი საკითხი, რომელიც ეხება სტუდენტთა თვითმმართველობის ახალი წევრების მიღებას. ფაკულტეტის დეკანმა, პროფესორმა თამარ გაგოშიძემ წარმოადგინა სტუდენტთა სია: I კურსი - მარიამ ბექაური, ანა კვირიკაშვილი, მარიამ ხოშტარია; II კურსი - ელენე ბერაძე, ირაკლი ხაბულიანი, შალვა ხოსიტაშვილი; III კურსი - დიანა ზვიადაძე, მარინა ბორჩაშვილი; IV კურსი - ქეთევან ცანავა. მან ხაზი გაუსვა მათ მნიშვნელოვან როლს საუნივერისტეტო ცხოვრებაში და, შესაბამისად, მათ მონაწილეობას ფსიქოლოგიისა და განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტის საბჭოში.

საბჭომ კენჭი უყარა სტუდენტთა თვითმმართველობის ახალი წევრების მიღებას და ერთხმად დაამტკიცა.

მომხრე: 21

წინააღმდეგი: 0

თავი შეიკავა: 0

2. **ანკეტა-კითხვარის დამტკიცება**

ფსიქოლოგიის დეპარტამენტი

ხარისხის მართვის სამსახურის უფროსმა, ასოც. პროფესორმა მანანა მელიქიშვილმა საბჭოს წინაშე დააყენა ანკეტა-კითხვარის საკითხი და შეახსენა, თუ მანამდე რომელი არჩევითი საგნები იყო შერჩეული ფსიქოლოგიისა და განათლების მიმართულებებისათვის, მათი კვოტები და პრიორიტეტები. საბჭოზე ძველ მოდელის შეცვლასთან დაკავშირებით აზრები გამოითქვა. ასოც. პროფესორმა, ანი ქიტიაშვილმა აღნიშნა, რომ ფსიქოლოგებისათვის კარგი იქნებოდა, რომ არჩევითი საგნების ჩამონთვალში დაემატებინათ სამოქალაქო განათლება, რასაც საბჭოს წევრთა უმრავლესობა დაეთანხმა. გარდა ამისა, ასოც. ფროფესორმა გოგი გოროშიძემ იმსჯელა სახვითი ხელოვნების მნიშვნელობაზე ფსიქოლოგებისათვის, თუმცა ეს საბჭომ არ გაიზიარა და იქვე, აღინიშნა, რომ ასეთი გამოცდა ეროვნული გამოცდების არჩევითი საგნების ჩამონათვალში არც არსებობს. დისკუსიის შემდეგ კენჭის ყრაზე დადგა საკითხი იმის შესახებ, რომ არჩევითი საგნების ჩამონათვალს - ბიოლოგია, მათემატიკა, ქართული ლიტერატურა და ისტორია დაემატოს სამოქალაქო განათლება.

საბჭომ კენჭი უყარა სამოქალაქო განათლების დამატებას არჩევითი საგნების ნუსხაში და წარმოდგენილი წინადადება ხმათა უმრავლესობით დაამტკიცა.

მომხრე: 19

წინააღმდეგი: 1

თავი შეიკავა: 1

ამის შემდეგ დადგა არჩევითი საგნების პირორიტეტების საკითხი. დისკუსიის შემდეგი არჩევითი საგნების ჩამონათვალი შემდეგი პრიორიტეტების მიხედვით დალაგდა ბილოგია, მათემატიკა, ქართული ლიტერატურა, ისტორია და სამოქალაქო განათლება.

საბჭომ კენჭი უყარა არჩევითი საგნების წარმოდგენილ პრიორიტეტიზაციას და ხმათა უმრავლესობით დაამტკიცა.

მომხრე: 20

წინააღმდეგი: 0

თავი შეიკავა: 1

სანამ არჩევითი საგნებს კოეფიციენტებს მიანიჭებდნენ, ფაკულტეტის დეკანმა, პროფესორმა თამარ გაგოშიძემ დააყენა ფსიქოლოგიის მიმართულებაზე მისაღებ სტუდენტთა რაოდენობის გაზრდის საკითხი. გასულ წელს მიღებულ იქნა 200 სტუდენტი, თუმცა აღინიშნა, რომ შეიძლება ეს რაოდენობა 25-ით გაიზარდოს. ამ საკითხს მოჰყვა დისკუსია. გამოითქვა მოსაზრება იმასთან დაკავშირებით, რომ უფრო მეტით გაზრდილიყო, მაგრამ თამარ გაგოშიძემ აღნიშნა, რომ ფაკულტეტს არა ქვს საკმარისი არც ადამიანური რესურსი და არც მატერიალური ბაზა. მეტი სტუდენტი მეტ საათს გულისხმობს და შესაბამისად, პროფესორებს დატვირთვა გაეზრდებათ, რაც აუცილებლად უნდა აისახოს ანაზღაურებაში. მან ხაზი გაუსვა იმ გარემოებას, რომ ფაკულტეტს ბევრი მოწვეული პედაგოგი ჰყავს, რომელთა ანაზღაურებაშიც ფაკულტეტის ბიუჯეტიდან საკმაოდ დიდი თანხა იხარჯება. შესაძლებელია, რომ შემცირდეს მოწვეულთა რაოდენობა და გამონთავისუფლებული თანხები გადანაწილდეს პროფესორებზე, თუმცა იქვე აღინიშნა, რომ ეს საკითხი უახლოეს მომავალში ფაკულტეტის დეპარტამენტის სხდომაზე განიხილება.

საბჭომ კენჭი უყარა მისაღები სტუდენტების რაოდენობის გაზრდას და ხმათა უმრავლესობით დაამტკიცა, რომ ფაკულტეტინმიიღებს 225 სტუდენტს.

მომხრე: 19

წინააღმდეგი: 0

თავი შეიკავა: 2

საბჭო დაუბრუნდა საგნების კოეფიციენტების საკითხს. მსჯელობის შემდეგ საბჭომ დაასკვნა, რომ ყველა საგანს უნდა მიენიჭოს კოეფიციენტი - 2.

საბჭომ კენჭი უყარა საგანთა კეფიციენტად 2-ს არჩევას ყველა საგნისთვის და ერთხმად დაამტკიცა.

მომხრე: 21

წინააღმდეგი: 0

თავი შეიკავა: 0

ამის შემდეგ დადგა არჩევითი საგნების კვოტირების საკითხი. რაოდენობები ასე გადანაწილდა:

I ვარინატი

	საგნების ჩამონათვალი	რაოდენობა
1	ბიოლოგია	65
2	მათემატიკა	65
3	ქართ. ლიტერატურა	50
4	ისტორია	30
5	სამოქალაქო განათლება	15

თუმცა, აღნიშნულ განაწილებასთან დაკავშირებით გამოითქვა მოსაზრებები. ასოც. პროფესორმა გიორგი გოროშიძემ აღნიშნა, რომ ფსიქოლოგებისათვის მათემატიკა კი მნიშვნელოვანია, მაგრამ, მისი აზრით, უკეთესი იქნება, რომ გაიზარდოს ბიოლოგიის კვოტა 80-მდე და მეორე ვარინატი შესთავზა საბჭოს.

II ვარიანტი

საგნების ჩამონათვალი		რაოდენობა
1	ბიოლოგია	80
2	მათემატიკა	50
3	ქართ. ლიტერატურა	50
4	ისტორია	30
5	სამოქალაქო განათლება	15

საბჭოს დანარჩენმა წევრებმა ამასთან დაკავშირებით საწინააღმდეგო მოსაზრებები გამოთქვეს და ამიტომ შემოთავაზებული ორივე ვარიანტი დააყენეს კენჭის ყრაზე.

საბჭომ კენჭი უყარა საგანთა კვოტირების პირველ ვარიანტს და ხმათა უმრავლესობით დაამტკიცა.
მომხრე: 18
წინააღმდეგი: 2
თავი შეიკავა: 1

საბჭომ კენჭი უყარა საგანთა კვოტირების მეორე ვარიანტს, რომელიც არ დაამტკიცა.
მომხრე: 2
წინააღმდეგი: 18
თავი შეიკავა: 1

საბჭომ ამის შემდეგ განიხილა კომპეტენციის ზღვარის საკითხი და განიხილა მოდელი, რომელიც გულისხმობს:

საგნების ჩამონათვალი		კომპეტენციის ზღვარი
1	ბიოლოგია	30+1
2	მათემატიკა	30+1
3	ქართ. ლიტერატურა	40+1
4	ისტორია	40+1
5	სამოქალაქო განათლება	40+1

საბჭომ კენჭი განსაზღვრული საგნებისთვის კომპეტენიციის ზღვრების საკითხს და ერთხმად დაამტკიცა აღნიშნული მოდელის მიხედვით მინიჭებული კომპეტენციის ზღვრები.
მომხრე: 21
წინააღმდეგი: 0
თავი შეიკავა: 0

ფაკულტეტის დეკანმა, პროფესორმა თამარ გაგოშიძემ დააყენა ოკუპაციური თერაპიის საბაკალავრო პროგრამისათვის არჩევითი საგნის საკითხი და შემოთავაზებული იქნა ბიოლოგია, სტუდენტთა რაოდენობა 10 და კომპტენციის ზღვარი 45+1. საბჭომ ეს საკითხი ამ ფორმით დააყენა კენჭის ყრაზე.
საბჭომ კენჭი უყარა აღნიშნულ საკითხს და ერთხმად დაამტკიცა
მომხრე: 21
წინააღმდეგი: 0

თავი შეიკავა: 0

განათლების დეპარტამენტი

ხარისხის მართვის სამსახურის უფროსმა, ასოც. პროფესორმა მანანა მელიქიშვილმა საბჭოს წინაშე დააყენა დაწყებითი საფეხურის მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის ანკეტა-კითხვარის საკითხი, განათლების დეპარტამენტის წარმომადგენლების მიერ შემოთავაზებული იქნა შემდეგი მოდელი,

საგნების ჩამონათვალი		კვოტა	კოეფიციენტი	კომპეტენციის ზღვარი
1	ქართ.ლიტერატურა	25	2	40+1
2	მათემატიკა	10	2	30+1
3	ბილოგია	10	2	30+1
4	ისტორია	5	2	40+1
სულ:		50		

საბჭომ კენჭი უყარა აღნიშნულ მოდელს და ერთხმად დაამტკიცა.

მომხრე: 21

წინააღმდეგი: 0

თავი შეიკავა: 0

3. სასწავლო პროცესთან დაკავშირებული საკითხები:

საბჭოს მდივანმა, ასოც. პროფესორმა ირინე ჟვანია საბჭოს წინაშე დააყენა დღის წესრიგით გათვალისწინებული შემდეგი საკითხები: მოწვეული პედაგოგების საათების რაოდენობის, დუბლირებული საგნების, საფაკულტეტო საგნებისა და ლმს-ზე გადასვლასთან დაკავშირებული საკითხები. ფაკულტეტის დეკანმა, პროფესორმა თამარ გაგოშიძემ აღნიშნა, რომ აუცილებელია კურიკულუმის საათების ოპტიმიზაცია ფაკულტეტზე არსებულ პროგრამებში, რადგან ეს თანხების დაზოგვის საშუალებას მისცემს ფაკულტეტს პროფესორების სასარგებლოდ. აუცილებელია მოწვეული მასწავლებლების რადიკალურად შემცირება და პროფესორებზე დამატებითი საათების გადანაწილება, რაც მათ უნდა აუნაზღაურდეთ. აუცილებელია ასანაზღაურებელი საათების მაქსიმალურ რაოდენობაზე მსჯელობა.უმჯობესია, ეს საკითხები განხილულ იქნეს დეპარტამენტების სხდომებზე, სადაც უფრო მეტი დრო დაეთმობა მსჯელობას და შემდეგ გამოტანილ იქნას საბჭოს სხდომაზე სამსჯელოდ.

ხარისხის მართვის სამსახურის უფროსმა, ასოც. პროფესორმა მანანა მელიქიშვილმა საბჭოს წევრებს გააცნო საკითხი, რომელიც ეხებოდა გამოცდისათვის დახურულბოლოიანი ტესტების შექმნას კომპიუტერულ ტესტირებაზე გადასვლისათვის (განსაკუთრებით ძირითადი საგნებისათვის). ამ საკითხთან დაკავშირებით საბჭოს წევრებმა სხვადასხვა მოსაზრება გამოთქვეს. საბჭოს მდივანმა, ასოც. პროფესორმა ირინე ჟვანიამ აღნიშნა, რომ მას მიზნშეწონილად არ მაჩნია, რომ სტუდენტის შეფასება მხოლოდ დახურულბოლოიან შეკითხვებს ემყარებოდეს. ასევე, სიტყვით გამოვიდა ასოც. პროფესორი თამარ აბაშიძე, რომელმაც ხაზი გაუსვა ღია შეკითხვების მნიშვნელობასა და აუცილებლობას. თუმცა, საბჭოზე ხაზგასმით ითქვა, რომ ეს არის ნებაყოფლობითი და თუ რომელიმე პროფესორს აქვს სურვილი, შეუძლია უნივერსიტეტის საგამოცდო ცენტრს გადასცეს დახურულბოლოიანი კითხვებისგან შემდგარი საგამოცდო ტესტი და ისინი უზრუნველყოფენ კომპიუტერულ ტესტირებას.

ხარისხის მართვის სამსახურის უფროსმა, ასოც. პროფესორმა მანანა მელიქიშვილმა საბჭოს წევრებს მოახსენა კომისიის შექმნის საკითხი. კომისიის მიზანი უნდა იყოს საგამოცდო ტეტსტებისა და ბილეთების შემოწმება, თუ რამდენად შეესაბამება ისინი სილაბუსის შინაარსობრივ მოთხოვნებს. ამ საკითხთან დაკავშირებით უკმაყოფილება გამოხატეს საბჭოს წევრებმა. ასოც. პროფესორმა ანი ქიტიაშვილმა აღნიშნა, რომ კონკურსის წესით მიღებული პროფესორების მიმართ ეს არის უნდობლობის გამოხატვა, რასაც საბჭოს სხვა წევრებიც დაეთანხმნენ და ეს საკითხი დღის წესრიგიდან მოიხსნა.

4. სხვა:

დოქტორანტების თემებისა და ხელმძღვანელების დამტკიცება:

4.1 ფაკულტეტის საბჭოს სხდომაზე წარმოდგენილი იქნა 2018-2019 სასწ. წლის შემოდგომის სემესტრში - სადოქტორო პროგრამა - „კლინიკური ნეიროფსიქოლოგია" - ჩარიცხული დოქტორანტის **მარიამ ნანაძის** (პ/ნ 61001074158) სამეცნიერო ხელმძღვანელისა და თემის პირობითი/სავარაუდო სათაურის დამტკიცება;

სადისერტაციო ნაშრომის პირობითი სახელწოდება - „ფონოლოგიური უნარების ანალიზი ენისა და მეტყველების განვითარების დარღვევის მქონე ბავშვებში."

სამეცნიერო ხელმძღვანელი – ასოცირებული პროფესორი შორენა მამუკაძე, თსუ;

საბჭომ კენჭი უყარა სამეცნიერო ხელმძღვანელისა და თემის პირობითი/სავარაუდო სათაურის დამტკიცებას და ერთხმად დაამტკიცა.

მომხრე: 21
წინააღმდეგი: 0
თავი შეიკავა: 0

4.2. ფაკულტეტის საბჭოს სხდომაზე წარმოდგენილი დოქტორანტ **ნათია სორდიას** - (სადოქტორო პროგრამა „ფსიქოლოგიური ანთროპოლოგია (ინტერდისციპლინური)", სამეცნიერო ხელმძღვანელი ასოცორებული პროფესორი ხათუნა მარწყვიშვილი) რედაქტირებული (დაზუსტებული) თემის სათაურის, „შემოქმედებითი პოტენციალიდან მიღწევებამდე: პიროვნებისა და სოციუმის როლი შემოქმედებითობაში" - დამტკიცების საკითხი;

საბჭომ კენჭი უყარა სამეცნიერო ხელმძღვანელისა და თემის პირობითი/სავარაუდო სათაურის დამტკიცებას და ერთხმად დაამტკიცა.

მომხრე: 21
წინააღმდეგი: 0
თავი შეიკავა: 0

4.3. საბჭოზე დასამტკიცებლად წარმოდეგილი იქნა დოქტორანტ **ირინე ფრუიძის** - (სადოქტორო პროგრამა „ორგანიზაციის განვითარება და კონსულტირება," სამეცნიერო ხელმძღვანელი პროფესორი ნოდარ ბელქანია) რედაქტირებული (დაზუსტებული) თემის სათაურის, „მართვის უნივერსალური სტანდარტების

ზეგავლენა არასამთავრობო ორგანიზაციის განვითარებაზე"- დამტკიცების საკითხი. ამ თემასთან დაკავშირებით საბჭოს წევრებმა გამოთქვეს მოსაზრებები. პროფესორმა ლალი სურმანიძემ აღნიშნა, რომ სათაურიდან გამომდინარე მას უჭირს აღნიშნული თემის ფსიქლოგიასთან დაკავშირება. საბჭოს წევრებმა აღნიშნეს, რომ თემის სათაური წინა სხდომაზეც არ იქნა დამტკიცებული, რადგან წარმოდგენილი სათაური ვერ ასახავდა კვლევით ფოკუსს, რომელიც ფსიქოლოგიის მეცნიერების ჭრილში უნდა იქნეს განხილული. ფაკულტეტის დეკანმა, პროფესორმა თამარ გაგოშიძემაც იგივე პრობლემას გაუსვა ხაზი. დისკუსიის შემდეგ ეს საკითხი დადგა კენჭის ყრაზე.

საბჭომ კენჭი უყარა დოქტორანტ ირინე ფრუიძის რედაქტირებული (დაზუსტებული) თემის სათაურის დამტკიცებას, მაგრამ არ დაამტკიცა.

მომხრე: 0
წინააღმდეგი: 21
თავი შეიკავა: 0

4.4. საბჭოზე დასამტკიცებლად წარმოდეგილი იქნა დოქტორანტ **მარიამ ოდილავაძეს** - (სადოქტორო პროგრამა „პოზიტიური ფსიქოლოგია-ემპირიული კვლევები, სამეც. ხელმძღვანელი ასოც. პროფესორი ხათუნა მარწყვიშვილი") - კონსულტანტად ფაკულტეტის ასისტ.პროფესორი, ფსიქოლოგიის დოქტორი მარიამ ფანჯიკიძის დამტკიცება. ამ საკითხთან დაკავშირებით აზრი გამოთქვს დოქტორანტის სამეცნიერო ხელმძღვანელებმა, ასოც. პროფესორმა ხათუნა მარწყვიშვილმა და ასოც.პროფ. ლილი ხეჩუაშვილმა. მათ საბჭოს წევრებს განუმარტეს, თუ რამდენად საჭირო და სასურველია დოქტორანტ მარიამ ოდილავაძისათვის მარიამ ფანჯიკიძის დახმარება და მასთან თანამშრომლობა.

საბჭომ კენჭი უყარა მარიამ ოდილავაძეს თემის კონსულტანტად ფაკულტეტის ასისტ. პროფესორი, ფსიქოლოგიის დოქტორი მარიამ ფანჯიკიძის დამტკიცებას და ერთხმად დაამტკიცა.

მომხრე: 21
წინააღმდეგი: 0
თავი შეიკავა: 0

საბჭოს მდივანმა, ასოც. პროფესორმა ირინე ჟვანიამ საბჭოს წევრებს გააცნო პროფესორ ქეთევან ჭკუასელის განცხადება. ირინე ჟვანიამ საბჭოს წევრებს განსახილველად და დასამტკიცებლად წარუდგინა (სადოქტორო პროგრამა - „განათლების მეცნიერებები") დოქტორანტების, ეკატერინე კვირკველიას, სოფიო დედალამაზიშვილის და ქეთევან ხუსკივაძის სადისერტაციო თემების რედაქტირებული (დაზუსტებული) სათაურები და გამოიტანა ეს საკითხები დასამტკიცებლად სხდომაზე.

4.5. ეკატერინე კვირკველია - ,,პროფესიული განათლების მასწავლებლის პროფესიული მახასიათებლების კვლევა." ხელმძღვანელი - ქეთევან ჭკუასელი, ფსიქოლოგიისა და განათლების მეცენირებათა ფაკულტეტის პროფესორი, თსუ; საბჭომ განიხილა აღნიშნული საკითხი. განათლების დეპარტამენტის წარმომადგენლებთან დააზუსტეს სათაურის შინაარსი და ამის მერე დააყანეს კენჭის ყრაზე.

საბჭომ კენჭი უყარა ეკატერინე კვირკველიას სადისერტაციო თემის რედაქტირებული (დაზუსტებული) სათაურის დამტკიცებას და დაამტკიცა.

მომხრე: 15
წინააღმდეგი: 1
თავი შეიკავა: 5

4.6. სოფიო დედალამაზიშვილი - „მნემოტექნიკების გამოყენების თავისებურებები გერმანული ენის სწავლების პროცესში (VII-IX კლასები)." სამეც. ხელმძღვანელები: ერეკლე ჩიგოგიძე - კავკასიის უნივერსიტეტის პროფესორი, რუსუდან სანაძე - ფსიქოლოგიისა და განათლების მეცენირებათა ფაკულტეტის ასოცირებული პროფესორი, თსუ;

საბჭომ კენჭი უყარა სოფიო დედალამაზიშვილის სადისერტაციო თემის რედაქტირებული (დაზუსტებული) სათაურის დამტკიცებას და ერთხმად დაამტკიცა.

მომხრე: 21
წინააღმდეგი: 0
თავი შეიკავა: 0

4.7. ქეთევან ხუსკივაძე - ,,ესპანური ენის დიდაქტიკის საკითხები უმაღლეს სკოლაში (თსუ-ის მაგალითზე)." სამეც. ხელმძღვანელი - მარინა კობეშავიძე, ჰუმანიტარულ მეცნეირებათა ფაკულტეტის ასოცირებული პროფესორი, თსუ; კონსულტანტი - ქეთევან ჭკუასელი, ფსიქოლოგიისა და განათლების მეცენირებათა ფაკულტეტის პროფესორი, თსუ. საბჭოს წევრებმა განიხილეს საკითხი. აღნიშნეს, რომ სათაური ბუნდოვანია და გაუგებარია საკითხის აქტუალობა. მათი აზრით, მნიშვნელოვანია, რომ დოქტორანტმა უფრო მკაფიოდ წარმოადგინოს თემა და შესაბამისად, მისი სათაურიც.

საბჭომ კენჭი უყარა ქეთევან ხუსკივაძის სადისერტაციო თემის რედაქტირებული (დაზუსტებული) სათაურის დამტკიცებას, მაგრამ არ დაამტკიცა.

მომხრე: 5
წინააღმდეგი: 15
თავი შეიკავა: 1

4.8. სხდომაზე ასევე განიხილეს კრედიტების აღიარების კომისიის მდივნის საკითხი. ვინაიდან კომისიის მდივანმა სალომე ჩიტიშილმა დატოვა თავისი სამუშაო ადგილი, შესაბამისად, კომისიაც დარჩა მდივნის გარეშე. ამიტომ ხარისხის მართვის სამსახურის უფროსმა, ასოც. პროფესორმა მანანა მელიქიშვილმა დააყენა კომისიის ახალი მდივნის არჩევის საკითხი და საბჭოს წარუდგინა ქეთევან ბაქანიძის კანდიდატურა.

საბჭომ კენჭი უყარა ქეთევან ბაქანიძის კანდიდატურას და ერთხმად დაამტკიცა კრედიტების აღიარების კომისიის მდივნად.

მომხრე: 21
წინააღმდეგი: 0
თავი შეიკავა: 0

4.9. **საბჭოზე ბოლო საკითხად გამოტანილ იქნა საუნივერსიტეტო ცენტრების ფაკულტეტზე გადმოტანის საკითხი. ფაკულტეტის დეკანმა, პროფესორმა თამარ გაგოშიძემ დააყენა ორი ცენტრის: 1. „შშმ პირთა საკითხების კვლევისა" და 2. „სტუდენტთა საკონსულტაციო" საუნივერსიტეტოს ცენტრების ფსიქოლოგიისა და განათლების მეცნიერებების ფაკულტეტზე გადმოტანის საკითხი. აღნიშნული ცენტრების ხელმძღვანელებმა: ასოც. პროფესორმა თამარ მახარაძემ და ასისტენტ პროფესორმა, ქეთევან მოსაშვილმა თხოვნით მიმართეს ფაკულტეტის დეკანს. დეკანის აზრით, მნიშვნელოვანია, რომ ეს ცენტრები სწორედ ფსიქოლოგიისა და განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტზე გადმოვიდეს, რადგან შინარსობრივად ძალიან ახლოა ფაკულტეტის სამეცნიერო და სასწავლო თემატიკასთან. მან, შესაბამისად, აღნიშნული საკითხი დააყენა კენჭის ყრაზე. აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით საწინააღმდეგო მოსაზრება არავის გამოუთქვამს. საბჭოს მდივანმა, ირინე ჟვანიამ განმარტა, რომ ეს არის უნივერისტეტის ახალი მიდგომა, რომელიც საუნივერსიტეტო ცენტერების ფაკულტეტებზე გადასვლას გულისხმობს.**

საბჭომ კენჭი უყარა „შშმ პირთა საკითხების კვლევის ცენტრის" ფსიქოლოგიისა და განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტზე გადმოტანას და ერთხმად დაამტკიცა.

მომხრე: 21
წინააღმდეგი: 0
თავი შეიკავა: 0

საბჭომ კენჭი უყარა „სტუდენტთა ფსიქოლოგიური კონსულტაციის ცენტრის" ფსიქოლოგიისა და განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტზე გადმოტანას და ერთხმად დაამტკიცა.

მომხრე: 21
წინააღმდეგი: 0
თავი შეიკავა: 0

დაადგინეს:

1. **სტუდენტთა თვითმმართველობის ახალი წევრების მიღება ფაკულტეტის საბჭოში.**
2. **საბჭომ კენჭი უყარა მისაღები სტუდენტების რაოდენობის გაზრდას და მიიღებს ფაკულტეტზე 225 სტუდენტს.**
3. **ანკეტა-კითხვართან დაკავშირებით:**

3.1. ფსიქოლოგიის დეპარტამენტმა დაამტკიცა შემდეგი მოდელი:

საგნების ჩამონათვალი	რაოდენობა	კომპეტენციის ზღვარი	კოეფიციენტი
ბიოლოგია	65	30+1	2
მათემატიკა	65	30+1	2
ქართ. ლიტერატურა	50	40+1	2
ისტორია	30	40+1	2
სამოქალაქო განათლება	15	40+1	2

3.2. ოკუპაციური თერაპიის საბაკალავრო პროგრამისათვის დადგინდა, რომ არჩევითი საგნი იქნება ბიოლოგია, სტუდენტთა რაოდენობა 10 და კომპეტენციის ზღვარი 45+1.

3.3. ანკეტა-კითხვართან დაკავშირებით: განათლების დეპარტამენტი საბჭომ კენჭი უყარა აღნიშნულ საკითხს და ერთხმად დაამტკიცა.

4. სხვა

4.1. დამტკიცდეს 2018-2019 სასწ. წლის შემოდგომის სემესტრში - სადოქტორო პროგრამა - „კლინიკური ნეიროფსიქოლოგია" - ჩარიცხული დოქტორანტის მარიამ ნანაძის (პ/ნ 61001074158) სამეცნიერო ხელმძღვანელისა და თემის პირობითი/სავარაუდო სათაური: „ფონოლოგიური უნარების ანალიზი ენისა და მეტყველების განვითარების დარღვევის მქონე ბავშვებში." *სამეცნიერო ხელმძღვანელი* – ასოცირებული პროფესორი შორენა მამუკაძე, თსუ;

4.2. დამტკიცდეს დოქტორანტ ნათია სორდიას - (სადოქტორო პროგრამა „ფსიქოლოგიური ანთროპოლოგია (ინტერდისციპლინური)", სამეცნიერო ხელმძღვანელი ასოცორებული პროფესორი ხათუნა მარწყვიშვილი) რედაქტირებული (დაზუსტებული) თემის სათაურის, „შემოქმედებითი პოტენციალიდან მიღწევებამდე: პიროვნებისა და სოციუმის როლი შემოქმედებითობაში".

4.3. არ დამტკიცდეს დოქტორანტ ირინე ფრუიძის - (სადოქტორო პროგრამა „ორგანიზაციის განვითარება და კონსულტირება," სამეცნიერო ხელმძღვანელი პროფესორი ნოდარ ბელქანია) რედაქტირებული (დაზუსტებული) თემის სათაური - „მართვის უნივერსალური სტანდარტების ზეგავლენა არასამთავრობო ორგანიზაციის განვითარებაზე".

4.4. დამტკიცდეს მარიამ ოდილავაძის - (სადოქტორო პროგრამა „პოზიტიური ფსიქოლოგია-ემპირიული კვლევები, სამეც. ხელმძღვანელი ასოც. პროფესორი ხათუნა მარწყვიშვილი") - კონსულტანტად ფაკულტეტის ასისტ.პროფესორი, ფსიქოლოგიის დოქტორი მარიამ ფანჯიკიძე.

4.5. დამტკიცდეს ეკატერინე კვირკველიას თემის სათაური - ,,პროფესიული განათლების მასწავლებლის პროფესიული მახასიათებლების კვლევა" და სამეც.ხელმძღვანელი - ქეთევან ჭკუასელი, ფსიქოლოგიისა და განათლების მეცენირებათა ფაკულტეტის პროფესორი, თსუ;

4.6. დამტკიცდეს სოფიო დედალამაზიშვილის თემის სათაური- „მნემოტექნიკების გამოყენების თავისებურებები გერმანული ენის სწავლების პროცესში (VII-IX კლასები)" და სამეც. ხელმძღვანელები: ერეკლე ჩიგოგიძე - კავკასიის უნივერსიტეტის პროფესორი, რუსუდან

სანაძე - ფსიქოლოგიისა და განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტის ასოცირებული პროფესორი, თსუ;

4.7. არ დამტკიცდეს ქეთევან ხუსკივაძის თემის სათაური - „ესპანური ენის დიდაქტიკის საკითხები უმაღლეს სკოლაში (თსუ-ის მაგალითზე)“ .

4.8. ფაკულტეტის საბჭომ კრედიტების აღიარების კომისიის მდივნად აირჩია ქეთევან ბაქანიძე;

4.9. ფაკულტეტის საბჭომ მიიღო გადაწყვეტილება, რომ ფაკულტეტის ფარგლებში შემოვიდეს საუნივერისტეტო ცენტრები: (1) „შშმ პირთა საკითხების კვლევის ცენტრი“ და (2) „სტუდენტთა საკონსულტაციო ცენტრი“.

სხდომის თავმჯდომარე: პროფესორი
თამარ გაგოშიძე / [signature] /

სხდომის მდივანი: ასოცირებული პროფესორი
ირინე ჟვანია / [signature] /